საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავჭედილა

თავჭედილა (Amanita pantherina)

თავჭედილა (Amanita pantherina), ქუდიანი სოკო ამანიტასებრთა ოჯახისა. ქუდი 10 სმ-მდე დიამეტრისაა, თავდაპირველად ამობურცულია, შემდეგ კი გაშლილი, მურა, მოყვითალო-მურა ან მოყვითალო-მომწვანო-ჭუჭყისფერი. ზედაპირზე კონცენტრულად განლაგებული თეთრი მეჭეჭები აყრია, ლურსმნებით მოჭედილს წააგავს და ქართ. სახელიც აქედან აქვს მიღებული. ქუდის ქვედა მხარეს თეთრი ფირფიტებია. ფეხი თეთრია, საყელოიანი, ძირში ბოლქვისებრი, რ-ზედაც კონცენტრულად განლაგებული რგოლებია განვითარებული; იზრდება ნიადაგზე როგორც წიწვოვან, ისე ფოთლოვან ტყეში ზაფხულ-შემოდგომით. ძლიერ შხამიანია, შეიცავს შხამიან ნივთიერებას მუსკარინს. მისგან მოწამვლა მჟღავნდება 0,5–2 სთ შემდეგ და იწვევს ცენტრ. ნერვული სისტემის მოშლას, ძლიერ გულისრევასა და ღებინებას, თავბრუს ხვევას, გონების დაკარგვას, ჰალუცინაციებს და სხვ.

ი. ნახუცრიშვილი